

თავისუფალი ვაჭრობის ხედშეკრუდებით წინეთიდან ხარისხიანი პროდუქცია ჩამოვა?



საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრები წინეთსა და საქართველოს შორის გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის ხედშეკრუდებას დადებით აფასებენ. ამის შესახებ მათ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომელსაც ქართველი ბიზნესმენების

გარდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი და ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი მარიამ გაბუნია ესწრებოდნენ.

პრესკონფერენციის მონაწილეებს გიორგი ჩერქეზიშვილმა მისასაღმებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ გაფორმებული შეთანხმება ძალიან დიდი შესაძლებლობაა ქართული კომპანიებისთვის.

„მათ გაეხსნათ 1,4 მილიარდიანი ბაზარი, სადაც შეუძლიათ, რომ თავისი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია შეიტანონ ტარიფებისა და საიმპორტო გადასახადების გარეშე. ქართული პროდუქციის თითქმის 94% -ზე თითქმის სრულიად მოიხსნება იმპორტის გადასახადი. მაგარიტად, ქართულ კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ ადკოჰოლურ ან არაადკოჰოლურ სასმელებს, მინერალურ წყალს, კონსერვებს, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ტიპის პროდუქციას და ა.შ. შეეძლება, რომ იმპორტის გადასახადის გარეშე შევიდნენ ამ ძალიან დიდ ბაზარზე“, – განაცხადა ჩერქეზიშვილმა.

მისი თქმით, საქართველოს ბაზარი დიდი არ არის, თუმცა წინეთი მიიღებს იმას, რომ მას რეგიონში პარტნიორად ეყოლება ქვეყანა,

რომედსაც თავის მხრივ, ასევე აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ევროკავშირთან, თურქეთთან, დსთ-ს ქვეყნებთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA).

კითხვაზე, რამდენად ხარისხიანი იქნება საქართველოში შემოსული ჩინური პროდუქცია, მინისტრის მოადგილის განცხადებით, საქართველოს ხარისხის კუთხით ვადღებურება აქვს აღებული და ყველა დარგში ევროკავშირის ღირებულებები იწერება.

„ეს არის გარანტორი იმისა, რომ ქართული წარმოება იქნება ხარისხობრივად გარანტირებული და რეგულაციები იქნება თუნდაც იგივე იმ ჩინური კომპანიისთვის დაცული, როგორც ეს იყო ევროპის ბაზარზე. დღეს ჩინური პროდუქცია ჩვეულებრივად შემოდის. ჩვენ ვართ თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე მყოფი ქვეყანა, ამიტომ ამ კუთხით დამატებითი საშიშროება არ იქნება, პირიქით, ეს იქნება უფრო კარგი, რადგანაც ვაჭრობა, კონკურენცია გაიზრდება და მგონია, რომ ხარისხობრივად ბევრად უკეთესი მდგომარეობა იქნება ქვეყანაში“ – განაცხადა ჩერქეზიშვილმა.

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის, გიორგი შაგიძის შეფასებით, აღნიშნული ხერხეკულება საქართველოს რეგიონში კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ინვესტორებისათვის.

„ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, მსოფლიოს მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის მიღწევა თავისთავად უპრეცედენტო ფაქტია. ეს შანსს აძლევს ქართულ კომპანიებს, უფრო იაფად მოახდინონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტი ჩინეთში. ჩვენი ბანკი მზადაა დააფინანსოს ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესი“- აცხადებს შაგიძე.